ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 21

ფასი ერთ ფეფ. 10 კ.

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი"ს სტამბაში ყოველ ქამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საპირობისამებრ შეხწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი"ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили

№ 21 ქვირა, 22 მაისი 1916 წ.

1905

22 მაისი

მკვდრეთით აღდგომის მოციქული
(ა ი სუმბათაშვილი)

ჩვენს შორის იმყოფება ის, ვინც ბასრი სიტყვით, ჯადოსნური სურათებით და ზენაარი შთაგონებით აღდგომას გვიწინასწარმეტყველებს ხალხის შეშფოთებით...

ეს არის ჩვენი სიმამაცე—მწერალ-მოძღვარი, ხელოვან-ქურუმი ა. ი. სუმბათაშვილი.

დაე, სხვებმა იგი იწამონ როგორც რუსეთის სასცენო ხელოვნების დიდი ქურუმი, თანამედროვე რუსთა დრამატურგიის მშვენება, დაე, ჩვენში იგი დასახონ, როგორც საქართველოს მრავალ საუკუნოებით განაწამებ ცხოვრების ჯადო-გამომსახველი, ჩვენ, გარდა ამისა, იგი გვწამს როგორც ჩვენი მდაბიო ხალხის მომღერალი, მისი აღდგენა-გამარჯვების მოციქული...

დაკვირდით: ერთის მხრით ოთარბეგ-ერეკლენი, ს მშობლოს კეთილდღეობას პირად ბედნიერებაში რომ სცვლიან, მეორე მხრით—ანანია-გლახა ქვეყნის სახენელად თავის ღვიძლ ჩჩვილ შვილსაც რომ არ ზოგავს, და დათო, რომელიც მტარვალს დაამბობს და სამშობლოს თვითარსებობისთვ ს ურყეველ ბოძად ჰყუდია.

უყურეთ და იხილეთ—ვისაც თვალნი გაქვთ ხილვად, უსმინეთ და ისმინეთ—ვისაც ყურნი გაქვთ სმენად...

სამშობლოსგან გასული შვილი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დაუბრუნდა სამშობლოს უკვდავის ძღვენით—დიდებული ძეგლით...

იგი თავისი „ლალატი"-თ ასწავლის ყველას, რავდენად მიუტევებელია სამშობლოს ლალატი და ვინც თავის ერს ჰლალატობს—რა რიგ დაკარგულია, სულ-ხორცით წაწყმედილი...

ჩვენი დროის მოციქულმა მამულიდან განდგომილნი ამხილა, დაცემულთ შთაბერა სული განახლებისა, ბოლო მდგომი ხალხს, რომელიც საქართველოს თვითარსებობის ნამდვილი ფუძეა, უთხრა: წარსულში შენ იცავდი მამულს, აწმყო—მომავალშიაც შენვე უნდა აღადგინო შენი დაცემული სამშობლო-ო.

ლადო დარჩიაშვილი

(1872 – 1916)

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის!"

ჩემთან ერთად ბევრს მოაგონდა უბედურ პოეტის მწარე ოხვრა, როდესაც ლადო დარჩიაშვილის სიკვდილი გაიგო.

ცხადათ მეხატება მშვიდი, კეთილი, წყნარი, ლმობიერი სახე, გამოუთქმელი ფიქრით, გამოუთქმელი სევდით სავსე თვალები: შეეყურებ მას და არა მჯერა, რომ მარადისობამ შთანთქა ეს ფიქრი, ეს სევდა და ეს სახეც.

ადამიანი, რომელშიაც არავითარი ბოროტება არ იყო—აი ლადო დარჩიაშვილი.

უსაზღვროთ კეთილი, მეტათ თავმდაბალი, ფების ფრჩხილებამდე ალალ-მართალი კაცი—აი ლადო დარჩიაშვილი.

ბავშვივით გულუბრყვილო, უმწიკვლო, —აი ლადო დარჩიაშვილი.

და სწორეთ ამ ბავშურ ბუნებაში იყო მისი დიდი ღირსება და მისი ნაკლიც: როგორც თვითონ იყო კეთილი და პატიოსნებით სავსე, ისეთი ეგონა ყველა ვისაც ცხოვრებაში ხვდებოდა; ყველას უზომოთ ენდობოდა და ამის გამო ბევრჯერ მოტყუებული რჩებოდა.

კეთილშობილი და ზრდილი, თავაზიანი და ნამდვილი ჯენტლმენი, რომელიც ადამიანში მუდამ პატივს სცემდა ადამიანს და შეურაცყოფას არავის მიაყენებდა, არავის პიროვნებას არ შეეხებოდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ადამიანი, რომელზედაც სამართლიანათ ითქმის: ჭიანჭველასაც კი ფეხს არ დაადგამსო,—აი ლადო დარჩიაშვილი.

აზროვნების სფეროში გამბედავი, მეტათ გულახდილი, დაუფარავი, ცხოვრებაში კი მორცხვი, ჩუმი, მორიდებული,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ადამიანი, რომელიც ბევრსა ჰფიქრობდა და ცოტას ლაპარაკობდა; ადამიანი, რომელიც ბევრს აკეთებდა და მუდამ ჩრდილში დარჩენას კი არჩევდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ადამიანი, რომელიც მუდამ სხვის წყენას, სხვის შეწუხებას ერიდებოდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ლადო მეტათ ლამაზი პიროვნება იყო, ერთობ განსხვავებული, მეტათ განირჩეოდა სხვებისაგან. ამის გამო ის ხშირათ გაუგებარი, უცნობი რჩებოდა.

ის მუდამ მზათ იყო, ყოველისფერი მოეცა თქვენთვის, ნაცვლათ კი არაფერი არ უნდოდა, არაფერს არა გთხოვდა.

გულით წრფელი და სულით წმინდა—აი ლადო დარჩიაშვილი.

რა მეურაცყოფაც უნდა მიეყენებიათ მისთვის, ის სამაგიეროს არავის არ გადაუხდიდა და თავის სულში ყოველთვის ნახავდა იმდენ ძალას, რომ აღელვებულ გულის თქმას არ აჰყოლოდა.

ის იყო ჭეშმარიტი სოციალდემოკრატი და ნამდვილი დასელი, ხოლო ეროვნულ საკითხში ძველ დასელებს არა ჰგავდა: მას ღრმათა სწამდა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობა ეროვნულ საკითხში საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას ითხოვს.

ამგვარი რწმენის საჯარო ქადაგებისთვის მას სასტიკათ, მკაცრად მოექცენ მისი ამხანაგები.

ნურავინ იტყვის: პარტიის სიმტკიცე, მთლიანობის დაცვა ამას მოითხოვდაო.

ასეთი სისასტიკე არ იყო არავისთვის საჭირო, ასეთი სიმკაცრე არ არის შესაწყნარებელი.

სიმკაცრესა და სისასტიკეს ბოლოს და ბოლოს იმისთვის მოაქვს ზიანი, ვინც მას იარაღათა და ფარხმალათ ხმარობს.

აზროვნების სფეროში მეტი თავისუფლება—აი რას მოაქვს მხოლოდ საბოლოო ნაყოფი.

ლადოს კი ერთი საყვედური, ერთი მკაცრი სიტყვაც არ წამოსცდენია: ის მშვიდათ, წყნარათ, სიკეთით სავსე გულით ზიდავდა თავის ჯვარს და მას რომ ლოდს ესროდენ, ის კენჭსაც კი არ აიღებდა სხვის სასროლად.

ვაჟას ერთ მოთხრობაში მთის წყარო ამბობს:

—რავენა, მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონო!

ეს სიტყვები ლადო დარჩიაშვილზეა გამოკრილი.

ის იყო წმინდა წყარო, რომელსაც არ შეეძლო ტალახის, ჭუჭყის მოტანა,—ის ვერავის შეაფურთხებდა.

ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიადაგზე მას განსაკუთრებული მიმდინარეობის შექმნა კი არ უნდოდა მარქსიზმში, როგორც ეს ფ.

113 ეროვნული ბიბლიოთეკა

მ—ს ჰგონია „თანამედროვე აზრში“, მას უნდოდა, ახალი ხანა შეექმნა მესამე დასის ისტორიაში და შექმნა კიდეც.

მესამე დასი არ ატარებს საკუთარ სახეს, ის არ არის ჩვენი ერის ცხოვრებაში საკუთარის მეობით,—ის არის ხელოვნური ნაწილი და მორჩილი რუსეთის მუშათა პარტიისა. ეს არის პირველი ხანა, მაგრამ მუდამ ამ მდგომარეობაში დარჩენა და დაბერება შეუძლებელია: მესამე დასი უნდა გადიქცეს ნამდვილ ეროვნულ დასათ, მან უნდა მიიღოს ტერიტორიალური ავტონომია ეროვნულ საკითხში და გამოაცხადოს თვისი თავი დამოუკიდებელ, ქართულ მუშათა დასათ.

თავის განვითარების გზაზე მესამე დასი ვერ ასცდება ამ საფეხურს და ადრე თუ გვიან უსათუოდ მოვა ლადო დარჩიაშვილთან.

ივ. კ[illegible]

სათათბიროს ათი წლის თავი

პირველ სათათბიროში: 1) ი. ა. (ოსიკო) ბარათაშვილი, 2) ნოე ყორდანია, 3) ს. ჯაფარიძე, 4) ალექსრე რამიშვილი, 5 ივ. გომართელი, 6) ს. წერეთელი.

ათი წლის წინად განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმოშობა სახელმწიფო სათათბირო...

რუსეთის ერთა რჩეულნი შვილნი პეტერეს ქალაქში პირველად შეიკრიბნენ 1906 წ. 26 აპრილს, ხოლო ერთი თვის შემდეგ 23—26 მაისს ჩვენმა ქვეყანამ არჩია თავისი წარმომადგენელნი. .

უუფლებო ქვეყანა თითქო უფლებათ შეიმოსა, უტყვი ხალხი ამეტყველდა—თვისი გულის ნადები საჯაროდ გამოთქვა.

ერის პირველმა წარმომადგენლობამ მოითხოვა სახელმწიფოს მმართველთა ერის წინაშე პასუხისმგებლობა და უფლებრივ წყობილების განმტკიცება...

დაიწყო ბრძოლა: ძველი წყობილების დამცველნი და ახალის მომხრენი ურთიერთს შეეტაკნენ...

ქვეყანა გარეგნულად დაშოშმინდა: ხალხმა თვისი ბედი ამომრჩევლებზე მიაგდო—ახალ კანონებს შემოიღებენ, გვიშველავთებენო.

მაგრამ ლოდინი ლოდინათ დარჩა.

მთელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ პრტყელ-პრტყელი სიტყვები ისმოდა ვისაც უფრო ეპირებოდა შეღავათი—მუშა ხალხს, გლეხკაცობას, დამონებულ ერთ—თითქმის არავითარი შეღავათი არ ღირსებია...

მთავრობამ 1906 წ. 8 ივლისს პირველი სათათბირო დაითხოვა და მისი მემარცხენე ფრთა, რომელმაც ვიბორგის მოწოდება გამოსცა, გაასამართლა, დასაჯა...

1907 წ. 20 თებერ. მოიწვია მეორე სა-

მეორე სათათბიროში:

შუაში—კაკი წერეთელი, მარჯვნივ—სევ. ჯუღელი, მარცხნივ—არ. ლეგ. ჯაფარიძე, ზევით—გ. თ. მახარაძე და ბ. ბ. (ჭოლა) ლომმათიძე, ქვევით—კ. ე. კანდელაკი და ნ. ა. კაციაშვილი.

თათბირო, მაგრამ იგიც მალე (1907 წ. 3 ივნისს) დაითხოვა და მისი სოციალდემოკრატიული ფრაქცია, 55 წევრი, პასუხის გებაში მისცა

მხოლოდ მესამე (1907 წ. 1 ნოემბერს მოწვეული) და მეოთხე სათათბირონი მუშაობდენ უხიფათოდ...

ჩვენი ხალხის წარმომადგენელთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ იგინი ნაკისრ მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ და მუდამ რუსეთის დემოკრატიას მესვეურობდენ.

ივ. გომართელი, ნოე ჟორდანია, ი. ბარათაშვილი, ი. რამიშვილი, ი. ჯაფარიძე და ნახუცარი ს. წერეთელი — პირველ სათათბიროში, კაკი წერეთელი, არ. ჯაფარიძე, ჭოლა ლომმათიძე, სევ. ჯუღელი და სხ.—მეორე სათათბიროში, კარლო ჩხეიძე, ევ. გეგეჭკორი და სხ.—მესამე სათათბიროში, იგივე კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი და ვარლ. გელოვანი—მეოთხე სათათბიროში,—ეს საქართველოს შვილნი, რომელნიც სახელოვანად მიუძღოდენ წინ სახ. სათათბიროს მარცხენა ფრთას...

მათი გაბედული სიტყვა, დემოკრატიულ პრინციპებისთვის თავგამოდებითი ბრძოლა—მუდამ კეთილ მოსაგონრად დარჩება და მომავალ დეპუტატს სახელმძღვანელოდ ექნება...

რუსეთის პარლამენტარიზმის აღორძინება-განვითარების ისტორიკოსი ოქროს ასოებით აღმოჰკვეთს ხალხის უფლებისათვის მებრძოლ საქართველოს შვილთა სახელებს...

ჩვენს შორეულ წარსულში არა ერთი და ორი ქართველი მოღვაწეობდა სხვათა ერთა შორის როგორც გამოჩენილი სარდალი, კანონმდებელი და ჩაგრულთა მოსარჩლე..

რუსეთის სათათბიროს ათი წლის მოღვაწეობამ დაგვანახვა, რომ ქართველის ეს სული არ ჩამქრალა...

აწინდელ საქართველოში კიდევ ერთხელ გაიღვიძა ძველებურმა რაინდმა, კანონმდებელმა, მებრძოლმა და სხვათა ჭირვარამზე მზრუნველმა...

გამოჩნდა ქართველის დიდი ორატორული ნიჭი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უნარი...

და რათაც უნდა ღირს კარლო ჩხეიძის მოწოდება,

მისი მედგარი სიტყვა მთელ მოწინავე ქვეყნებს მოეფინა...

ასევე მედგრად მოღვაწეობდენ მისი წინა რჩეულნიც...

სამაგიეროდ კი...

სათათბიროდან პირდაპირ ციხე-კატორგაში...

არ. ჯაფარიძემ, სევ. ჯუღელმა, ბიკენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე **სათათბიროში**



ევ. პეტ. გეგეკორი, კარლო ჩხეიძე, პ. ლ. შერვაშიძე.

ლომთათიძემა და სხ. ტყვეობაში დალიეს ტანჯული სული...

კაკი წერეთელი, ეს რუსეთის პარლამენტის გენერალი, როგორც უცხოეთში უწოდეს, და მისი სხვა ამხანაგნი კატორგა-ციმბირით ღალატილდოვეს...

ვარ. გელოვანმა ბრძოლის ველზე მეომართა მოვლა-ზრუნვაში ჰპოვა სიკვდილი...

სხვებსაც დიდი დასავეს...

აი ათი წლის ნაღვაწი...

. . .

ჩვენი დეპუტატების უმეტესობა განსაკუთრებით რუსეთის საზოგადო წესწყობილების შეცვლას ალევდენ ძალ-ღონეს: თუ საერთოდ რუსეთის ხალხთ ეშველავათათ რამე, ქართველი ერიც მიიღებს შველავათსო.

მეოთხე სათათბიროში

ვ. ლ. გელოვანი აკაკი ჩხენკელი
(და კარლო ჩხეიძე. სურათი იხ. ზემოთ)

მხოლოდ იოსებ ბარათაშვილმა პირველ სათათბიროს ავტონომისტთა სექციაში წამოაყენა საქართველოს ავტონომიის საკითხი და ვარ. გელოვანმა მეოთხე სათათბიროში მოითხოვა საქართველოს ავტონომია...

საერთოდ დემოკრატიულ მოთხოვნილებებში კი თითქმის შეთანხმებით მუშაობდენ...

განსვლილმა ათეულმა წელმა გამოაშკარავა, რომ რუსეთის მოწინავე-მემარცხენე ინტელიგენცია დამონებულ ერთა მხოლოდ ტკბილი ნანათი ულოლიავებს. ეს გარემოება კი ნათელ ჰყოფს წამებული და მრავალ იმედგაცრუებული ქართველი ერის შვილი რა გზას უნდა დაადგეს სამშობლო ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ...

იოსებ არიმათიელი

უდაბნოს საიდუმლო

(არაბული ლეგენდა)

ალბად თქვენც გაგიგონიათ ეს ზღაპარი.

ძველია ის, ვით ქვეყანა მზიურ მოთხრობათა, მაგრამ მაინც მოგითხრობთ თქვენ მას...

ამბობენ, როდესაც ჰეჯასის გადაჭწვარ მიდამოებს გამოეთხოვება ცეცხლის მფრქველი მზე, გადახრუკულ მაღლობებიდან დაჰბერავს საღამოის ცივი ქარი და შორეული დასავლეთი წითელ ცეცხლის კოცონში გაეხვევა,—ამ დროს გამოჩნდება თურმე ვიღაც მოხუცი მგზავრი და ნელის ნაბიჯით მიეშურება...

სად? რისთვის?,.

არვინ იცის სად, ან რისთვის... და არც თვით ამბობს, თუ სით არის გზა მისი, რას ეძიებს იგი ამ ბნელ, ჯოჯოხეთურ ღამეში.

და დადის, თურმე—წელში მოხრილი და თითქოს ცის რისხვისა ეშინიაო—არ აშორებს თვალს უნაყოფო მიწას და არ ეხედება ზეკით.

ასე მოხრილი დადის, თურმე სულ, მოხუცი.

დადის ღამით... სქელი ღამის ბნელ ფრთის ქვეშ, დადის დღისითაც და მიყვება მწველი მზის სამარადისო ხხივების გზას. და მიდის... მიდის...

ბევრჯელ უნახავთ ის, თურმე, მოგზაურებს, და ბევრჯერ ჩაუვლია მას უხმოთ დასვენებულ ქარავანის გვერდით .

ასე დადის ის მრავალ წელთა განმავლობაში, წელში მოხრილი, უტყვი და მდუმარე და ბევრჯერ უნახავთ იგი მოგზაურებს.

— ვინ ხარ, ან სად მიხვალ, ან რას ეძიებ?—ეკითხებიან, თურმე, მას, მაგრამ მდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგებით არის მოცული ბაგენი მისი, და არ იძლევა იგი რიმე პასუხს.

ამბობენ, რომ ერთ ღამეს, როცა ძლევამოსილი მეფის ამალა ნადირობის შემდეგ შეჰფარებოდა მყუდრო ოაზისს და ტკბილ ძილს მისცემოდა,—ამ დროს დაიჭირა ის ერთმა დარაჯმა და დილით წარუდგინა მეფეს, ვით ავაზაკი ვინმე.

ხოლო არ წასცდა მოხუცს სიტყვა რაიმე; განრისხდა მეფე და სასტიკი სასჯელი მიუსაჯა მას.

წამების დროს სთქვა მან მხოლოდ ორიოდ სიტყვა:

— ვეძიებდი... ვეძიებდი... სიყმაწვილეს... ახალგაზრდობას!..

მყისვე მიატოვეს დარაჯებმა ის და გაეშურენ მეფესთან, რათა მოეხსენებინათ მისთვის ნათქვამი მოხუცისა.

და მოიხმო მეფემ ის უცნაური კაცი... მაგრამ გაქრა იგი, ვით წყარო უდაბნოს ცხელ ქვიშაში, ვით ნისლი ცხელი მზის მწველ სხივებზე... ბევრი ეძიეს იგი მეფეს მსახურებმა და ვერ პოვეს კვალი მისი.

და მას შემდეგაც დადის, თურმე, წელში მოხრილი მოხუცი, დადის დაუღალავად და ეძიებს უდაბნოში დაკარგულ სიყმაწვილეს.

ეძიებს და დასჩერებია მიწას და არ იხედება ის ზეცისაკენ, თითქოს მისი რისხვის ეშინიოთ...

და დადის... სულ დადის!..

ასე თავებენ მოხუცნი არაბნი ამ ძველ თქმულებას და გამოურკვეველი სევდა იპყრობს მაშინ ყველა იქ მყოფთ... ვაჟკაცნი გასცქერიან შავ უდაბნოს, ხოლო მოხუცნი ეძლევიან მწარე ფიქრებს, რომ გაქრა სიყმაწვილე, რომ შთანთქა იგი უდაბნოს უსაზღვრო სივრცემ, ამოაშრო და დასწვა ის მწველმა მზის სხივებმა და უდაბნოს ცხელი ქარი კიკილ-ხარხარით ფანტავს მტვერს ოდესღაც ნორჩი სიჭაბუკ-სასაო...

ასეთი ლეგენდა დადის არაბეთის მზიურ შვილთა შორის.

უსათუოთ გაიგონებდით თქვენ ამ ძველებურ თქმულებას, მაგრამ მაინც გეტყვით მას...

ძველია ის, ვით ქვეყანა, მზიურ თქმულებათა შემქმნელი, მაგრამ მარადის ახალი ცაა იგი, ვით ნორჩი თაიგიანად აყვავებულ სიყმაწვილისა.

ნ. მიწიშვილი

სახალხო სცენის მოუვარე



რომან. სალაყაია

სუოშაბათს, 26 მაისს სახალხო სახლში სახ. წარმ. მმართ. წრე დღესასწაულობის რომანზზ ნიკოდოზის ძის სადაყაიას 20 წ. სასცენო მოღვაწეობის შესრულებას.

— ვინ არის სადაყაია? შეიძლება იკითხოს ზოგიერმა, ვინც დაესწრებით არ იცნობს მას... და შეიძლება ბევრი ვერც კი იცნობდეს, რადგანაც იგი მუშაა და არა რომელიმე კომფორტიანი მსახიობი... დიდ, მუშაა, სრულიად უბრალო ხელოსანი, რომელსაც არავითარი კანონიდან არ მიუღია, მაგრამ სცენისა და სახალხო სიქმის სიყვარულს მის გულში ღრმად ჩქონდა და აქვს ფესვები კიდგმული...

1887 წ. იგი ჩამოიყვანეს ს. ბანძიიდან (სამეგრელოდან) და მიაბარეს სამდებრო ქარხანაში ხელობის სასწავლებლად. ამ წლიდან დაუხლოვდა სამშობლო ქვეყნის მშრომელობას რამაც გულში ადუღარ სახალხო წარმოდგენების თანგრძნობა: შეუყვარდა სცენა და ამიტომაც წრფელის გულით ასრულებდა ყოველ კვირს მინდობილობას, რაიცა სცენას შეესებოდა. 1891 წ. შეუერთდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ჯგუფს, რომელშიც ქალაქის კანაპირა უბნებში სახალხო წარმოდგენების მრთველ დაიწყო.

რაც დრო კიდიოდა, სახალხო წარმოდგენების სიქმე უფრო ფართოვდებოდა, მაგრამ ადგილობრივი პირობები და თეატრის უქონლობა ძლიერ ხეჯს უშლიდა სქმეს. მიუხედავად ამისა სადაყაიას მხნე და დაუდგრომელი გული არ შედრკა, არ შეუშინდა არავითარს დამბრკოლებელ მიზეზებს და ზურგი არ შეექცია სახალხო წარმოდგენებს.

რაგორც საზოგადოთ ყოველდღიურ მუშას, თუმცა სადაყაიასაც ძლიერ ცოტა დრო ჩქონდა თავისუფალი, მაინც თავისს თავისუფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს თავისთვე ბირადი კმაყოფილებისათვის არ მოუხმარებია, ეროვლოვის დარჯათ სდგომა სახალხო წარმოდგენებს...

არა ერთხელ მიუტოვებია სამუშაო სამქო და გასდგომია რომელიმე დაბისკენ გზასა... მას ხშირად აწყვდნენ ბრაფინტაციებში სამყველ-მოქმედო წარმოდგენებზე: მაგ. კოტს, ახალქალაქს, მეტეხს, ცხინვალს, ხაშურს, სურამს, ბორჯომს, ქ. ანჯარს და სხ.

მიუხედავათ იმისა, რომ სადაყაია არც ერთ წარმოდგენიდან სასეიდელს არ იღებდა, ხშირად შრომა-კარჯასთან ერთად თავის უკანასკნელ გროშსაც არა ზოგავდა, რომ სახალხო წარმოდგენების საქმე წესიერ ნაიგაგზე დამყარებულიყო. 1902 წ. ივნისს იმედაშვილის მეოთხრობა-რეკეასორობით შესდგა ყოლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა ყოლაბრის კანაბირა უბანში (ბეტრე-ბაყოლესთან, მუროშვილის თეატრში), სადაც ერთი სიუკეთესო თანაშრომელთაგანიც სადაყაია იყო და ამავე დროს რეკისორის თანაშემწის მოვალეობასაც ასრულებდა.

1902 წ. 1906 წ-მდის სასტეტეტურად ამმართველობდა ქართული სახალხო წარმოდგენები ყოლაბარში (როგორც მურაშვილი, ისე არაქსიანსეულ თეატრში), სადაც არც ერთ წარმოდგენას ისე არ ჩაუვდია, რომ სადაყაია მონაწილეობა არ მიეღო, ვიდრე ამხანაგობა დაიშლებოდა. ამხანაგობის დაშლის შემდეგაც იგი არ განშორებია საყვარელ საქმეს და დღემდის სახალხო ყოლეტორიებში, სხვათა შორის ზუბალაშვილის სასეიდობის სახალხო სახლში, მონაწილეობს, რის კეთილ წრის კეთილობა სამადლობელ წარმოდგე-

---

მოლიკულ გზაზე

(გაგრძელება)
იხ. „თ. და ც." № 20

მაშო. ჯერ კი დიდი იმედი მაქვს, დედა! ოქრო რომ აქ იყო, სულ მე მიეკერო-და. შენი ჯირიმე, ბირის ფერი კაბა გადამიკეთებინე. ბევრი აიღონ ხუთი მანეთი ხელფასი, მეტს ხომ ალარა. შემდეგში ერთი ორად გადაგიხდი, გენაცვალე. როდესაც ოქროს შეძლებას ხელში ჩავიგდებ.

თეკ. ხუთ მანეთზე როგორ გეტყვი უარს, შვილო, ოღონდ კი აგისრულდეს ნატვრა. (ადგება და სახლისკენ გასწევს) ნეტაი, არ იქნება, ისე მოხდეს, როგორც შენს და ჩემს გულს უნდა. ერთი ქეთინოც გავაბედნიერო. (ქეთინო მრცხვენად შეუდგეს) და მერე ჩემი საქმე კარგად იქნება. მე, როგორც იქნება, გავატარებ ჩემ დღეებს. მალე მაინც აგისრულდეს შენი გულის წადილი, ჩემო კარგო.

მაშო. არა, ოქრო ჩემია! ნაშდვილად ჩემი იქნება, დედილო! (ფრიგენი კადიან)

ქეთინო. (მარტო რჩება. აქეთ-იქით იხედება, თითქოს რადაც ეძებნო და შემდეგ ისევ ხარბად დაიწყებს ხატვას, თითქოს კაბარაზებულიც)

ფ ა რ დ ა

—

სურათი მეოთხე

(იგივე დეკორატია. შუადღე)

I

მაშო და ქეთინო.

ქეთინო. (ამზადებს დასასხტ ქადაღდს, წამოდგებს და სხვ.)

მაშო (შემოდის) ქეთინო, განა დღეს მოვა ოქრო? ჯერ ვერ დაამთავრა ჯეროს ხატვა?

ქეთ. ცოტა-ღა დარჩა მალე დაამთავრებს! მგონი დღეს მოვა.

მაშო. მაშ მე მარიკასთან წავალ!

ქეთ. რადა, რისთვის უნდა წახვიდე?

მაშო. მეტი ვიქნები!

ქეთ. რას ლაპარაკობ, მაშო? საიდან წარმოიდგინე? იქნება გგონია, ჯეროს ხატვა იმიტომ მოიგონა, რომ ჩვენზე ახლოს იყვეს?!

მაშო. განა საეჭვოა?!

ქეთ. იქნება გგონია, რაიმე მიზნით დაიარებოდეს? ხომ არა ფიქრობ, ის შენი გულისთვის ან ჩემთვის მოდიოდეს? ოქროს სურდა დაეხატა ჩემი ჯერო და დახატა კიდეც! ვერ წარმოიდგენ, მაშო, რა საუცხოოდ დახატა! ცოტა-ღა დარჩა, გაამშვენიერებს. დღეს იქნება ჯერო სახატავად აღარც დასჭირდეს და თავისუფლად იხტუნებს. მეტად ცელქობდა ხატვის დროს!

მაშო. შენ სიტყვა ბანზე ნუ ააგდე! ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას უმართავს. რაგდენათაც რ. სადაუკიაა დიდნი ასეთი წარმოდგენისა, ამდენად ჩრის გამგეობაა მადლობის დიდნი, რომ სახალხო სექმის ერთგულ მუშაკს დიდნულ ბატიკს ცემს და ზნეობრივად მაინც აჯილდოვებს...

სადამ და კამარჯვება სახალხო სექმისათვის თავდადებულ მუშაკთ.

ალ. ბაკიანშვილი

*
* *

დეე, იგრგვინოს ბუნების რისხვამ,
შეესრას სამყარო, შეატორტმანოს;
ყოფნა-არ ყოფნის დიადმა კითხვამ
ყველა მაშვრალნი დამაჭმუნვაროს;—
მხოლოდ ნუ ჩაჰკლავს მათში სურვილსა,
მომავალისთვის კვლავ ჰმგერდეს გული!
ნუ დაკენინებს ბრძოლის წყურვილს,
დეე, ისმოდეს ხმა გაბედული!..

ალ. გერასიმიძე

ეროზეფ რენი

ფრანგი, სიურანგეთის სააზრო მეზეუმის მდივანი, მრავალ ენათა მცოდნე (იცოდა ქართული, სომხური, სპარსული ენებიც), აქვს სხვა და სხვა თხზულებანი, საქართველოს შესახებაც. ცოლად ჰყავდა ქართველი კალატოზიშვილის ასული და საქართველო დიდათ უყვარდა. გარდ. და დაიკრძალა 18 მაისს თბილისში.

ვიცი ვისთვისაც დაიარება ოქრო!

ქეთ. ვისთვის?

მაშო. შენთვის!

ქეთ. ჩემთვის?! რა უცნაური ხარ, მაშო! ეგ საიდანღა შეთხზე? ოქრო ისე მეგობრულად მიყურებს, როგორც, თავის საყვარელ დას!.. წმინდა გულით მესაუბრება ხოლმე ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე და ი შენ კი რა დასკვნა გამოიყვანე.—იცი, მაშო? ის რომ ლაპარაკობს, სულ გინდა, ყურადღებად გარდაიქცე. დაეწაფო მის დიად აზრებს, შენც გინდა ეძიო, მიუწდომელი, მსოფლიო სულის კვეთების იდეია. ის რომ ლაპარაკობს თავის საყვარელ სახეშობლოზე, კაცობრიობაზე, მაშინ იმის სახე სრულიად იცვლება, მისი შუბლი თითქო ორკეცდება, მისი ტანი იზრდება, მაღლდება და, თითქო თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებს...

მაშო. და იმის ნაპერწკლები შენ მოგხვდა გულში!

ქეთ. არა, მაშო! მისი ნაპერწკლები შენ გეკუთვნის და არა მე! აკი შენ გაქცევდა ყურადღებას?

მაშო. ჩემი ადგილი ახლა შენ დაგილოცე...

ქეთ. მე დამილოცე! მე? (ცრ იგის რა სოქკის და შემდეგ უცბად ატეკის ანკარაშ მიუტეშდად) რომ ჩამოგეცალო, აღარ დაეენახვო და წინანდებურად გავხდე ისევ ნადირი, მაშინ ის ადგილი ხომ დაგიბრუნდება?

მაშო. ვეღარ! ის ადგილი ეხლა მხოლოდ შენ გეკუთვნის. ეგ ადგილი ან შენ უნდა დაიპირო და ან კიდევ სხვა ვინმემ... მაგრამ არა! შენ არ უნდა იყო ბედნიერი შენ, ჩემო ძვირფასო!

ქეთ. შენ კი ვეღარ დაიპერ?

მაშო. ვეღარ!

ქეთ. რატომ?

მაშო. აღარ შეიძლება.

ქეთ. ვინ არის მერე დამნაშავე?

მაშო. ბედი!

ქეთ. ოხ, არა მაშო, მე ვარ დამნაშავე, მე უბედური. (ქვითინებს)

მაშო (გულზე მიიკრავს დას) ნუ სწუხარ, ჩემო დაო, მერწმუნე, სულ ერთია ჩემთვის ოქროს ყურადღება თუ უყურადღებობა. მეტადრე მაშინ, როდესაც ვხედავ, რომ შენ მოსწონხარ... მე იმისთვის აგრე რიგად გაგიჟებული არა ვყოფილვარ!

ქეთ. ხომ მოგწონდა?

მაშო. ეგ რა უყოთ მერე... ეხლაც მოგწონს... ოღონდ შენ ბედნიერი იყავ, ჩემო საყვარელო, შენ გიხარე და მეც დავემორჩილები ჩემს ბედსა. თუ ბედს ჩემთვის კარგი ენდა, არ გადამაგდებს უფსკრულში, არ ჩამაგდებს ცუდს მდგომარეობაში. „რაცა კაცსა

116 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარნარო

ვ-ნი ქ—ს

— ნარნარო! ამღერებულის ხმით ეძახდა მწვანეთ შეღებილ აივანზე მოკრძალებით მდგომი ვანო.

ნარნარო კი მდიდრულად მორთულ სასტუმრო ოთახის კუთხეში ყვავილიან ვაზასთან მოღიმარი იდგა და ყვავილთა ფერებს ახამებდა. თოვლივით თეთრს ტანისამოს ქვეშ ორი ბროლის ძუძუ გამოსქვეოდა და, ვით მოკამკამე ტბაზე ორი ცქრიალა პატარა გემი, ოდნავ მიმოცურავდა ზვიად მკერდზე.

ფანჯარასთან იდგა ვანო და გარეტიანებული შესცქეროდა კუთხეში ანთებულ შვენებას.

— ნარნარო! ჩაკლულის ხმით ხელმეორეთ მიმართა ვანომ.

— მობრძანდით, კარები ღიაა. იყო ნარნაროსაგან თავაზიანი პასუხი.

— ნუ ს მრთავთ?!

— მობრძანდით ვანო მოხდენილად მივიდა, ნაზად მიიღო სათუთი ხელი ნარნაროსი ცეცხლეულ ბაგესაკენ და ხანდაზმით აკოცა.

— ვანო! შენიშნა შემკრთალმა ნარნარომ. — მაგგვარი კოცნა მხოლოდ ლავრენტის შეუძლია და არა მეგობარს.

— ნარნარო! თუ გახსოვს, პირველად ვანოს შეჰფიცე სიყვარული. ლავრენტი სიყვარულის მეორე სიტყვა იყო. ორპირობამ სიკვდილი მარგუნა, ღალატმა წამების ჯვარი ექვს წელიწადს მატარებინა... ნარნარო! თუ

ბედმან მისცეს — დასჯერდეს და მას უბნობდესო". ხომ გაგიგონია. ეხლა შენ წინ წინანდელი მაშო აღარა სდგას, რომელიც აგრე რიგად არ დასდევდა სხვის სურვილს და ყოველ „შემთხვევაში „მესს" გაიძახოდა. შენი მაშო გამოიცვალა, გონება მოიკრიფა და ცხოვრებასაც ისე ბავშურად აღარ უყურებს, როგორც წინად. (უნდა წავიდეს. წასვლას დაპირებს)

ქეთ. სად მისდიხარ, მაშო!

მაშო. ოთახში.

ქეთ. არა, ნუ წახვალ, აქ დარჩი!

მაშო. არა, არ შემიძლიან! (ბაღის სახჩარად)

ქეთ. (მარტო დარჩება. გაშტერებული სდგას. მერე ხელს კედისკმს შუბდზე. აქეთ იქით იხედება, ეტუობა დელავს)

II

ქეთინო და ოქრო.

ოქრო. (სახჩარად შემოვა. ხელს ჩაბოართშეგს) კნიაზნა, უქეიფოთ ხომ არა ბრძანდებით? (მას სახეს მიაჩერდება) შემიძლიან მერე მოვიდე!

ქეთ. რასა ბრძანებთ? არა! განაგრძეთ, დაამთავრეთ ხატვა. მე კარგადა ვარ. ცოტა თავი მტკივა, მაგრამ არა უშავს რა, გამივლის. დაბრძანდით, დაიწყეთ ხატვა!

ოქრო. მაინც რაღა დამრჩა დასახატი? დავამთავრე კიდეც?

ქეთ. წაველ ჯეროს შემოვიყვან.

ოქრო ნუ გინდათ. საჭირო არ არის. დღეს მე არა მცალიან. მარტო გადავათვალიერებ, რომ უშნოთ არ გამოვიდეს. ამ ორ დღეში კიდევაც მოვიჩქარი.

ქეთ. მაშ არ მოვიყვანო ჯერო?

ოქრო. ნუ მოიყვანთ. დღეს თავისუფალია თქვენი ჯერო! მეტად დავტანჯე საწყალი!

ქეთ. რა უშავს!

ოქრო. ძალიან გონიერი რამ არის! ძალიან გიყვართ? (დაწყვებს ნახატის სწორებას)

ქეთ. ერთად-ერთი ჩემი მეგობარი ეგ არის და, რასაკვირველია, ძალიან მეყვარება. ძალიან შემეჩვია, მასაც ვატყობ ვუყვარვარ, ჩემი მორჩილია. მეც სამაგიეროდ სიამოვნებას არ ვაკლებ! წავიყვან ხოლმე რომელიმე ციცაბოზე, საცა მარტო თხები დახტიან სიმკვირცხლით, საცა ჰაერი სუბუქია, საამო! სადაც სუნთქვა უადვილდება ადამიანს! იქ შეეგებმეგ ნამიან, გემრიელ ბალახს! მეტად უყვარს ჯეროს სეირნობა და მეც ამაში უკან არ ჩამოვრჩები ხოლმე.

ოქრო. (რადაც მოაგონდება და ჭკითხავს) მართლა, კნიაზნავ, დანაპირები?

ქეთ. რა? არ მახსოვს!

ოქრო. დაგავიწყდათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გული სიყვარულის ტრაპეზზე ზვარაკად მოტანილი უმანკო არ იყო, რად შეიწირე... ნარნარო, რად მომაყრევინე შენს წინაშე მუხლი, ხელებაპყრობილს სიყვარულის დიდი რად აღმამახდინე. თუ მეტყოდი განრისხებული ქალღმერთი გასწი, გამეცალეო... მოიგონე. ერთი წუთით შეეხე წარსულს, იგი მახვილია, უსამართლოდ დასჯილ ვანოს თვალს ვერ გამისწორებ... ნარნარო. აი ეს სურათი, გახსოვს როდის შეგთავაზე? გაგონდება გულის ალში გამომწვარი სიტყვები? წაიკითხე...

— უსამართლო ხარ, ვანო! შენ კარგად იცი შენ სასჯელში ნარნაროს ხმა არ შეუტანია.

— სანუგეშებელი შენს სიტყვებში, ნარნარო, არაა-რა.

— წარსულს ნუ ამმეტყველებ, ვანო! საკმაოა მოგაგონო, რომ დღეს შენს მეგობარს ვეკუთვნი.

— მეგობარს!! თავის ქნევით მიუკო ვანომ.—მეგობარს, რომელიც, სავალალოდ... ომის მახვილმა...

— სთქვი, ვანო...

— ნუ ჰღელავ. ნარნარო! მეგობარი დღეს...

— დამამთავრე, ვანო! გაძლევ სიტყვას დიდ უბედურებას მშვიდად შეეხვდები, თავშეკავებით. არწმენდდა ჩაფერფლილი, ზარნაცემი ნარნარო.

— ლავრენტი...

— მოკვდა!!. სიშინლად წამოიკივლა ნარნარომ და თვალები შიშის მოლოდინში გაეყინა.

ქეთ. (ადგება. მიგა მაგიდასთან, სადაც ოქრო ზის, ქალდადებიდან ამოიღებს ნახატს და მისცემს ოქროს)—სრულიად დამავიწყდა: დაგიმზადეთ, აი ინებეთ! (მაშორებთ ჩამოჯდება სკამზე ისევ)

ოქრო. (ადაკვირდება. ხატავს და მერე ადტაცებით წამოიძახებს) კნიაზნა! როგორ დავიჯერო, რომ ეს ნახატი თქვენი ხელოვნებაა?

ქეთ. (დიმდიან) ნუ დამაცინით, კნიაზო.

ოქრო. რასა ბრძანებთ! წმინდა ხელოვნებაა და დიდი ნიჭიც ატყვია ამ ნახატს. ნება მიმიძეთ გიწინასწარმეტყველოთ დიდებული მომავალი. ეს თქვენი ხელოვნება აგამაღლებთ და გაგაბედნიერებთ!

ქეთ. ბედნიერად?! ბედნიერი, კნიაზო, ვიქნები მაშინ, როცა ჩემი მხატვრობა ნაყოფს გამოიღებს, შევიძლებ მის საკადრისს სამსახურს, ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში შევხვდები ნამდვილ ჭეშმარიტებას, განათლებულთ, თავშეწირულთ, რომელნიც სიცოცხლეს შუაზე გამიყოფენ, რომელნიც აღმომჩენენ ღონისძიებას, დამეხმარებიან ჩემს ლტოლვა მისწრაფებაში რა უნდა ვყოფილიყავ, ღმერთს რომ არ მიენიჭებინა. სურვილი ხატვისა, წყურვილი წმინდა ხელოვნებისა!

ოქრო. ვაშა, ვაშა! კნიაზნა! სულით და გულით ღმერთსა ესთხოვ თქვენი მისწრაფება მალე შეგსრულებოდეთ. სასიამოვნოა თქვენი აზრი, თქვენი მისწრაფება; სჩანს ჯერ კიდევ მოგვეპოვებიან ნამდვილი ქართველი ქალები, ნამდვილი დედები! თქვენ უნდა გაუნათოთ ლამპარი, ჩვენს მომავალ ქალებს და აჩვენოთ მაგალითი, დაანახოთ თავიანთი მოვალეობა, დანიშნულება!

ქეთ. არა, მგონია, რომ მაგ უმაღლეს წერტილამდის მივახწიო!

ოქრო. არა, თქვენ უსათუოთ მიახწევთ თქვენს მიზანს და გაიმარჯვებთ კიდევაც. (მოსაწყენი სიჩუმე. ოქრო ასწორებს ნახატებს) კნიაზნა, სთქვით რამე. რას გაჩუმებულხართ?

ქეთ. რომ დაგიშალოთ?

ოქრო. პირიქით, ხალისს შემძენთ. ტკბილი ხმის გაგონება გულის თქმას ეგონება: მუსიკას უკრავენ ჩემს გასახალისებლად...

ქეთ. თქვენ დამცინით!..

ოქრო. დაგცინო, მშვენებავ! (ოქვადებს გაუშტერებს)

ქეთ. (უსხედგს ოქროს და მერე ძიბს დახრის თავს)

ოქრო. (ტიტრე ბაუზის შემდეგ) ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

ქეთ. ჰო, მაგრამ...

ოქრო. მაგრამ რა?

ქეთ. ცოტა ხნობით!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

117 ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, დამშვიდდი.

— სკრუობ, ლავრენტი მოკვდა.

— ჰდელავ, ნარნარო! დაწყნარდი.

ნარნაროს მწარე გმინვა აღმოხდა და მდუღარე ცრემლები შეფეთქილ დაწვებზე ჩამოედინა.

— ცოცხალს ცრემლებს რად აფრქვევ, ნარნარო! ლავრენტი მძიმედ დაიჭრა! — ისეთი სახით გამოუცხადა ვანომ, ნარნაროს აუცილებლად ლავრენტის სიკვდილი უნდა ეგულისხმებია...

— ლავრენტი მომიკლეს, ჩემი ლავრენტი... გულამოსკვნით სტიროდა ნარნარო და მოჩუხჩუხე ცრემლები ფიქალ დაწვზე ემსხვრეოდა.

ნარნაროს ცრემლმა ვანოს ცრემლიც გამოიწვია, ვანოც ააქვითინა...

II

. . . . . .

III

ჭერიდან ჩამოშვებულ, ორად გაყოფილ ქსოვილების შუა, კრკიალა სარკის წინ, სა. პირფარეშოსთან მომხიბვლელად იდგა ნარნარო და მსუბუქ პერანგის ჭუკრუტანებში გატარებულ ვარდის ფერ ლენტს ლაღის ფიქრით იფუჩუჩებდა. ბანტს კვანძავდა მოცინარი. ისეთი მწველი ტრფიალებით გატაცებული, თითქო მის გულში ერთი თვის წინედ გლოვის ზარი არ ჩამორეკილიყოს, თითქო ხანგრძლივ მოლოდინის შემდეგ ქალწულს, გარიჟრაჟზე მზე ვაჟი უნდა შეხვედროდა და მწველი გრძნობით ნეტარებაში დფუფქულიყო... მშვენების უკანასკნელი სიტყვით მორთულს, გრძნობის სიო წერწეტა წელს ურხევდა. ვანოს გარს ევლებოდა მისი ფიქრთა ქარავანი.

— ნარნარო! დადაგული გულით აღმოკვეთილი ხმა ვანოსი შემოიჭრა ღია ფანჯრიდან. ნარნაროს არ ესმოდა, ყვავილთ ტბაში დალივლივებდა.

— ნარნარო! რას შეუპყრიხარ აგრე თავდაუბწყვლად.

— შორიდან მიხმობ, ვანო! მიუგო ნარნარომ ისეთი ნაზი გამოთქმით, რომ ვანოს გული აღტაცებისაგან ათამაშდა.

— ვანო! ეხლა შენ ხომ არ მიხდი სამგიეროს.

— ვანოს არ შესწევს ძალა შური იძიოს...

ვანო ოთახში ფრთხილად შევიდა და შედგა.

— გიკვირს, ვანო?!

— სახეზე ნაღველი დაგტყობია.

— ნაღველი გიფანტება... სთქვა ნარნარომ და ისე ძლიერ ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულიც თან ამოჰყვაო.

— ნარნარო, დაიწყო სიყვარულის ქედზე აფრენილმა ვანომ, ჩემს დაბურულ ცხოვრების მთას ჯანღი ეცლება... მომეც ხელი. გამომიწოდე უმანკო ბაგე, რათა დავწვა სულის გამწამებელი ეკლის ხლართი, რათა სიყვარულის კეკლუც განთიადს ფრთებ გაშლილმა სიცილი შევაფრქვიო... ნარნარო! უსიტყვო ვედრებით გაუწოდა ათრთოლებული ხელები და ნარნაროც მოწყვეტილად ჩაეკონა. მწველმა კოცნამ სულის თქმა შეუხუთა, გრძნობას ფიანდაზი გაუფინეს, ოდეს კარების ზარმა შეუწყნარებელი წკრიალი მორთო. ნარნარომ სუროსავით ჩაწნული ბაგე შეაშორა და გაფითრებულმა, გულის ძგერით ვანოს მიმართა.

— ვანო! გახედე, ფოსტალიონი იქნება.

ვანო წამს შებრუნდა, უნდოდა მარდად წასულიყო, მაგრამ ფეხი არ მიჰყვა.

— ვანო, რაღაც საშინელებას ვგრძნობ. ასე მგონია მკვდარი გაცოცხლდა... საყვედური მესმის, მაგრამ ვისგან — ვერ გამოვრკვე ულვარ... ვანო, დამიფარე, თუ რაიმე მომგლის...

... კარების ზარი არ ისვენებდა. მის წკრიალში რაღაც შავი საიდუმლოება ესმოდა ნარნაროს და სულს უხუთავდა...

— ვანო! შენ რაღას შეუპყრიხარ...

— მე თვით არ ვიცი, ნარნარო, რამ გამახევა... ისე ვდგევარ, თითქო ჩემს თავზე ცა ინქშეოდეს... რა სისულელეა...

უკანასკნელი სიტყვა გაჯავრებულმა წამოისროლა და გაეშურა.

— Парнарѣ №... სიჩქარით წაუკითხა ვანოს და დეპეშაც გადასცა. 'ვანომ აკანკალებულის ხელით მოაწერა, ჩამოართვა დეპეშა, საჩუქარი მისცა და დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთმა უმნიშვნელო მოვლენამ სრულიად მოსწამლა უუნტარესი ბედნიერება. რამ მოგვადუნა ალტაცებულნი, რა ძალამ გაირბინა ჩვენში ისეთმა, რომ სრულიად დასწყვიტა ურთიერთ შორის გამბმული შეხმატკბილებული სიმები,—ვერ გამიგია.

— ვანო! უეცრად მიმართა დაოსებულმა ნარნარომ, გახსენი დეპეშა და წამიკითხე. ვანომ წაავლო ხელი დეპეშას, მაგრამ გადაწყვეტილებამ უმეხთლა. რაღაც გამოურკვეველი გრძნობა ხუთავდა მის სულს... ვანომ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, როგორც იყო მოიკრიბა ძალღონე, გაუხია შემოკრული ქაღალდი, გაშალა და ხელები დაეშვა.

— ნარნარო! რაკი ეს უეცარი დეპეშა, შესთხოვდა ენამოკვეთილი: აგრე თავზარს გვცემს, გმუდარები. ცნობის გარეშე დავტოვოთ.

— არა... მომეცი... გადავიკითხო... ვანოს დეპეშა ხელიდან გაუვარდა, ნარნარომ ხელი წამოავლო და თვალთ დაბნელებულმა ტანჯვით ამოიკითხა შემდეგი: „მოვდივარ. მიმიღე და ჩამიკონე. შენი ლავრენტი“.

გამწარებული ნარნარო ხმას ველარ იღებდა. დაწფებული კოცნიდა დეპეშას და ცრემლით თუთქავდა, გამოუთქმელ სიტყვებს სწერდა, ეხვეწებოდა უნამუსო საქციელი ეპატიებია და მიყენებული შეურაცყოფა უტანჯველად გადაეტანა.

— ნარნარო...

მწუხარეთ გაისმა ვანოს ხმა... სურდა კიდევ ეთქვა რაღაცა, მაგრამ ნარნარო შეშლილივით წამოიჭრა, დაეხმო ვანოს წინ და მწარედ შესტირა:

— გამიტაცე, გამიტაცე შორს... შორს...

გ. დათიაშვილი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

მეგობარო!

სამწუხაროთ, ბ-ნი თეზბიტელი სხვაგან წავიდა... ამის გამო განვიზრახე მის მაგივრად შენთან წერილების წერა, მასზე უკეთესად ვიცი აქაური ამბები, და „მეც ქემიკრის კალამი“... მაშ რავა გგონია!

ესაა სამწუხარო, რომ საშუალო სასწავლებლებში ძლიერ ნაკლებად არიან ქართველ მუსულმანთა შვილები, არა თუ იქ, არამედ სხვა უფრო მდაბიო სასწავლებლებში თითოოროლა ქართველი მუსულმანი სწავლობს.

ეს სამწუხარეა იმის გამო, რომ სწავლა-განათლება ერთად ერთი სახსარია, რომლითაც გონების სიბნელე გაიფანტება, და ჭკუის სამფლობელო სინათლით აღივსება. ჯერ კიდევ ბერანჟემ სთქვა: ცოდნა—სინათლეა, ცოდნა თავისუფლება, უვიცობა კი მონობაა. უვიცი ადამიანი მართლაც სხვისი მონაა, სხვისი მორჩილია. მას არა აქვს საკუთარი ცოდნა, მოსაზრება, მსჯელობა; საითკენაც ქარი ჰქრის, იქითკენ წავა... დღეს შენია, ხვალ სხვისია. კარგისა და ავის გარჩევის ნიჭი არ აქვს... ამას თვით უვიციც გრძნობს, მაგრამ ზოგი უვიცი რომ გრძნობს, მასთანვე სცდილობს თვითაც ისწავლოს რამე, ცოდნა შეიძინოს, ან შვილს მაინც ასწავლოს, რომ ის სხვის შემყურე, სხვისი ტიკინი არ იყოს ცხოვრებაში... ბევრგან მუსულმანებმა შეიგნეს ცოდნის დიდი საჭიროება, და ხელი მიჰყვეს განათლებას. ასე იქცევიან იაპონიის და ეგვიპტის მუსულმანები, რომელნიც ცოდნის მიღებას სთვლიან თავის კეთილდღეობის ერთად ერთ საიმედო წყაროდ... გამოფხიზლების ნიშნები ეტყობათ ჩვენს ქართველ მუსულმანებსაც, რომელთაც დღეს სურთ თვისი „დედა ენას“ საშუალებით ცოდნა შეიძინონ და გვერდში ამოუდგენ სწავლით თვის თანამოძმე ქრისტიან ქართველებს. მაშ გზა დაულოცოთ ჩვენი ძმების ამ შეგნებას... ამ შეგნებაზე აღშენდება მათი კეთილდღეობის ტაძარი, და მომავალში ისინი მწუხარებით მოიგონებენ იმ გავლილ დროს, როდესაც ისინი ისხდნენ ბნელში და წყვდიადში და არა გაეგებოდათ რა არც დედამიწისა და არც თავის თავისა... როდესაც ისინი იყვნენ ვითარცა ლერწამი, ქარისაგან რხეული...

შენი მეგობარი ჩაქუჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილები

ნუ დამიტირებთ!..

ალიმოს ქამზე ერთი წუთით ჩასთვლიმა სიომ,
მთვარე სპეტაკი მორცხვად ღრუბლებს ამოეფარა
და ჩემს სამშობლოს, ჩემს საყვარელ ტურფა სამოთხეს
შავი აჩრდილი გადმოაწვა, გადმოეფარა...
არე მიყუჩდა, გაირინდა მთლად ტყე და ველი,
არეს ჩაეკვდა მდუმარება სასაფლაოსი
და... მე კი მინც არ ვდრკებოდი, მინც ვიბრძოდი
სევდის ისრებით დანაკოდი და დანაოსი! .
ჩემი სიცოცხლე ხომ ბრძოლაა და ეს ძიება
სანამ ვერ ვპოვო სული ჩემი დამშვიდდეს განა,
სულის ძიებამ ეკვეთ სავსემ სასტიკი ბრძოლით
განა ვერ ჰპოვოს სიცოცხლეში ალთქმის ქვეყანა?!.
და თუ დავსუსტდი, თქვენს ღაწვებზე ნუგეშის ცრემლი
მწარე ტკივილით სულ ამოდ ჩამოგორდება,
ნუ დამიტირებთ, რადგან ჩემი სულის ძიება
მრისხანე ეშხით კვლავ ცისკრის ქამს განმეორდება!..

ვეფხო-ფშაველი

პრაპ. ირ. ლუარ. ხელაძე

გასულ წელს გიმნაზიის მე-7-ე კლ-ან სამხ. სასწ. გადავიდა, იანვარში პრაპორჩიკობა მიიღო და ტყვიის მტყორცნელთა კომანდაში გამწესდა. დაიღუპა ოსმალეთის საზღვარზე მამაცურად მრძოლის დროს, 25 აპრ. 19 წ. იყო.

როდემდის იქნება ეს საგალობელი დრო?

(ვლად დარჩიაშვილის გარდაც. გამო)

„**ლანჩხუთი.** ღრმათ დამამწუხრა მოულოდნელმა ამბავმა, ვლ. დარჩიაშვილის უცხოეთში გარდაცვლებამ. მასში დაკარგეთ ამხანაგი მეტათ გრძნობიარე და მეფგარი, რომელიც **ჩვენ ბევრნი არ გვეთანხმებოდა**, მაგრამ მოწინააღმდეგეებისაკენ არ მიდიოდა. ეს მისი **სულის ობლობა** შეადგენდა მის **ტრაგედიას** და მან ეს თან ჩაიტანა **საფლავში** *). დემოკრატია მასში იგლოვს მისთვის მებრძოლს და მისი უფლების პატიოსან დარაჯს. **ნ. ჟორდანია**“.

როგორ მოგწონთ ხაზ-კასმეული სიტყვები: „ჩვენ ბევრნი არ გვეთანხმებოდა“, „სულის ობლობა“, „ტრაგედია“ და „საფლავი“?!.

დამეთანხმებით, რომ ჩვენ, უკიდურესი მეარტსენენი, ვიბრძოდთ სიტყვის, რწმენისა და აზრის თავისუფლებისათვის. არ ვინდობთ ამაში ჩვენს მოწინააღმდეგეს, რაზედაც უთვალია მსჯავრდებ იწერება ჩვენგანვე; ხოდო თუ ვინმე ჩვენგანი კეკრდში არ ამოგვიდგა და თავი შესწირათ არ დასდო, ჩვენ ის ეგეზიზდება, მის მოსისხლე მტრად ეთვლით, თუ კინდა იგი ჩვენი ძმა, მეგობარი, მეზობელი და იდეიური მოწინააღმდეკეც იყოს.

ამავე დროს ჩვენ კი ისეთი უდმობელი ვართ, ისეთი გულზვიადი, ისეთი შეუბრალებელი, რომ უკეთუ რომელმე, ჩვენმა მეგობრამხანაგოკანმა, რომელიც 20 სკეთხში ჩვენი თანამოაზრეა, ხოდო მე-21-ში კი თავისი საკუთარი აზრი აქვს და ეს აზრი უნდა სხვათაც კუზიარონ, მოთვ თავისი მსჯავრი დაადებინონ სკეკუთარ აზრზე, ჩვენ, მისი ამხანაგები, ამის საშუალებასა და ნებას არ ვაძლევთ და გულშეგვუბშობთ, სიცოცხლეში სულით ობლად ვზდით,

*) ხაზი ყოველგან ჩემია. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებას ტრაგედიად გუძცეგო და უწამდაგო და ბოდიშს კი სიფლაგში ვატანთ თან!

დიად, ჩვენ ვიბრძვით სიტყვის, რწმენის, აზრისა და პირად თავისუფლებისთვის, მაგრამ როცა ამ ბრძოლით ბატონობას ვიკეცით ხელში, ჩვენ თითონ ჯადოთი ვხდებით, აზრის გაჩოთქმის ნებას არ ვაძლევო და უდროოთ სიფლაგში ვისტუმრებთ...

კარგი დამარხვა და ტირიდი კი ვიცით. ამაში კაცი ვერ გვაჯობებს.

მერმე რაგდენი ვარდება ასეთს ტრაგედიაში? რაგდენია სულით ობოლი და უდროდ დამარხული, რომლებსაც თავისი აზრები სხვებისთვის ვერ კაუზიარებია?—სიმწუხაროდ და სავადოდ—ძალიერ ბევრი—ან კი რა ჭქნან, თუ თვისივე ძმები, თვისივე ამხანაგები უარძაგვენ და უხშობენ სიკუთარ კეთილშობილურ აზრის გამოთქმას, სხვებისთვის კაზიარებას?!

მართალია ჩვენი ახალგაზდა მეგობანი ჩხაკვაძე, როცა ამბობს:

„ან ვით გაიხარებდა თავისუფლების შვილი
იქ, სადაც შეუქმნიათ ნათელ აზრთა ბორკილი,
სადაც: ნება, მიზანი, ჩიხში მოუმწყვდევიათ
და წმინდა სიყვარულში შხამი ჩაუნიშვიათ?!

ამ ნიადაგზე რაგდენი ხანია თავადურს გადეგნებ ჩვენში შემდგარ სხვა და სხვა ჯგუფის ბედადების და-მათ „მოღვაწეობას“ და ჩვენდა სავადოდ ეთეედკან მხოდოდ ვხედავ დაწყებიდ „კომერციას“, აზრების ვაჭრობას, მაზის ეიდვა-ბეიდვას... მრავალი ფაქტის მოწმე ვარ, თუ როგორ თავ-თავის ჭნაგზე აკეთებინებენ ერთი თუ მეორე ჯგუფის ბედადები ჩვენს მწერალ-მოეტებს და სხვებს თავის ნაწერებს. დიად, მოწმე ვარ ამ ამბებისა და თავს ეკეთხები: ნუ თუ უეედა ეს იგივე ბატონობა არ არის? ნუ თუ ახალი ბატონები მოედს ახალგახრდობის ძველი ბატონებიგთ ეშად არ ახდიან? ნუ თუ კიდეგ დადხანს გასტანს ეს სავადოდ დრო?!.

ნუ თუ ჩვენი დაუვიწყარი დადოდ ამ სავადოდ დროის ერთი ნაადეეკი მსხვერპლთაგანი არ იყო?

„—ეჰ, სამშობლოვ, სამშობლოვ! იტირე აწ ობოლი,
უდროოდ მოწყვეტილი შენი ვარდის ფოთოლი,
იმან შენთან ვერ ჰპოვა აზრთა თავშესაფარი,
ის მარტო დადიოდა, როგორც ელეაზარი!“

გულდამწვარი მეგობარი

ქართული მუსიკა

(სიმღერა გალობა)

(დასასრული იხ. „თ. და ც. № 20)

არიან ისეთი მუსიკოსნი და არა მუსიკოსნიც, კერძო პირნი, (უფრო განათლებულნი და მაღალ წრიდამ), რომელნიც ქართულს, ძველად ასასრულებელს, რთულს სიმღერა-საგალობლებს, რისთვისაც საჭირონი არიან მათთან ბუნებით შეზრდილნი და მხნე მუშაკნი, სწორედ იმ სირთულისა და სიმთელისა გამო ნათლავენ ამ დროის ვითომ სრულიად შეუფერებელ და „მხეცური მუსიკა“-დაც; საქმე კი სულ უბრალოდ იიხსნება: არ ძალუძთ ჩვენი ასეთი რთული ვოკალური (სიმღერა-გალობის) მუსიკა გაიცნონ, უნაკლულოდ გადაიღონ და თვით მუსიკას კი იხსენიებენ „მნაირ უპატიოდ!..

ჩვენს ბუნებით სეტად საამო, მარგალიტებით სავსე სიმღერა-საგალობლებს ათასნაირად კორტნიან, სჯიჯგნიან, ასადავებენ, თავიანთებურად ასვეფერებენ, უსპობენ ხალხურ ვემოვნებას, ვითომც ყოველად უფარგისს, „ლამაზთიანებენ, ამშვენიერებენ“, მუსიკის კანონებზე აწყობენ და ისე სთავაზობენ ჩვენს საზოგადოებას. მოდით და ხელი შეეწყეთ ამისთანა დამუშავებელ ქართულ სიმღერა-გალობის გავრცელებას!

უფრო სასურველია და სასარგებლოც შემოღება ჩვენში იმ გვარ, წმინდა ევროპიულ კილოებისა, როგორიც ჰქონდა შემოღებული თავის გუნდის რეპერტუარის (პროგრამის) სხვა და სხვაობისათვის განსვენებულ იოსებ რატილს, მაგ. შემდეგი სიმღერები: „ადსდეგ გმირთ-გმირო“ (ფინლიანდიელების მარში) „ჩუსხუსთ ჩამორბოდა“ („შვედების კილო), „შადის გეშმ“ (მუს. მენდელსონისა), „ლაჟვარდ ცაზე“ (ჩეხური კილო) და სხვა მრავალი ნამდვილი ევროპიული სიმღერები ქართული ტექსტით (სიტყვებ-ლექსებით), რათა ქართველ მომღერალ-მგალობლებმა, საზოგადოებამ და ხალხმა გაიცნონ სხვა ეროვნების ხალხის მუსიკაც, როგორათაც ჩვენი მსახიობები უცხოელების პიესებს; მწერლები სხვათა ეროვნების ლიტერატურას და სხვ.

ჩვენს მდიდარ ხალხურ, ხალხისავე შექმნილ სიმღერა-საგალობლებში კი „ევროპეიზმი“-ს შეტანას სხვა გემოვნებაზე მომართვადაწყობა ჰქვიან, გადაგვარება-გადარჯულება, და არა განვითარება და წინსვლა ჩვენის მუსიკისა.

რომელი ადამიანი იქნება განათლება-განვითარების წინააღმდეგი ამ დროში, მაგრამ ისეთი „განათლება“, რომელიც ჩვენ გადაგვარჯულებს და დაგვეკარგავს ჩვენ ნამდვილ სახეს—ვერაფერი სასურველია.

არც ოპერების და სხვა რთული მუსიკალურ ნაწარმოების წინააღმდეგი იქნება ვინმე, მხოლოდ ჩემის აზრით, ჯერ მკვიდრი საძირკველი უნდა ჩაეყაროს საერო, სახალხო სიმღერა-გალობის საქმე, მის წესიერად გავრცელებას, მწყობრ საერო და საეკლესიო გუნდების გამრავლებას, ხალხის და საზოგადოების მომზადებას, რომ წმინდა ქართული მუსიკის გემოვნება შეითვისოს, და მერე ზედ აშენდეს ისეთი რთული ნაწარმოები, როგორიც არის ქართული ოპერა, სიმფონია და სხვ., რომ უკანასკნელნი მართლაც შეზავებულნი იყვნენ ქართული სულითა და ხასიათით; წინააღმდეგი მოვლენანი კი, ამისთანა არა ჩვეულებრივი ნახტომები, უსარგებლოა და უნაყოფო. **მიხეილ კავსაძე**

პატარა ფელეტონი

დაუჯერებელი ამბები

IV

დიოგენის სანათი უპირავს თურმე ალექსანდრე ჯაბადარს, დადის ამერ-იმერეთში და ეგრედწოდებულ „ქართველთა ამხანაგობის“ წევრებს დაეძებს.

— რა ვქნა, პაიები მრავალი გავასაღე და ე პაის პატრონები სად ჯანდაბას არიან, რატომ თავისას არ მოიკითხავენო?!

თუ გეგულებათ სადმე, ერთი მაინც მიჩვენეთ იმისთანა, რომ თავისი საკუთრება მომთხოვოს, და... საპოვნელად პაის პატრონებს მოვიწვევ და სრულ ანგარიშს ჩავაბარებო.

აცნობეთ, თუ გეგულებათ ვინმე!

წევრები დაჭმალვიან, თორემ ამხანაგობის საკუთრებაც ხელუხლებელი აქვს და ანგარიშებიც შედგენილიო.

V

წაუკითხავს ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარეს ლევან ყიფიანის წერილი რუსულად ნაბეჭდ სომხურ გაზეთში,—ვერ წარმომიდგენია ქართველთა და მაჰმადიანთა მეგობრობის გულწრფელობაო,—წაუკითხავს და შეფუცხუნებულა. საჩქაროდ კრება დაუნიშნავს გამგეობის წევრებისა, მოუხსენებია თავისი აღშფოთება და ერთხმივ დაუდგენიათ:

— ისტორიული ფაქტებით დავუმტკიცოთ მკითხველ საზოგადოებას,—ლევან ყიფიანს ვერაფერს დავუმტკიცებთ, რადგან ვინც მეტს მისცემს იმისი სწამსო,—დიაღ, დავუმტკიცოთ მკითხველსა ზოგადოებას, რომ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანნი ყოველთვის ერთგულნი ყოფილან ჩვენი ქვეყნისა, რადგან სწორედ აქ ჭორნაით მინიქეტული ყოველივე უფლება ადამიანისა და მოქალაქისა და ამასთან სრული თავისუფლება სარწმუნოებისა.

მოხსენებას ხწერენ თითონ თაყაიშვილი და გორგაძე. ამ ცოტა ხანში საზოგადო კრებას მიიწვევენ მოსასმენად და მერმე დაბეჭდავენ ქართულადაც, რუსულად აც და ისე გავრცელებენო.

VI

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „მწვანე ყანწების“ მეორე რვეული, შინაარსით ისეთივე ღრმა აზროვანი, ლექსით ისეთივე მადლიანი, როგორიც პირველი რვეული იყო. საყურადღებოა უმთავრესად მანიფესტის „პირველ თქმის“ „დამატებანი და განმარტებანი“ გ. რობაქიძისა, შემკული საგანგებოთ, საოცნებო ლექსით, ჯერეთ უთქმელ და უფიქრ შედარებით და... დასკვნით. ძლივს გაბედა რობაქიძემ, უმტკუვნა თავის ჩვეულებას და სცადა ნათქვამიდან დასკვნა გამოეყვანანო.

შესანიშნავია აგრეთვე ელიჩა დარიანის ლექსი, თაგუნასადმი მიმართული. ლექსი საკმარად მოზრდილია, ცოტა არ იყოს პოლემიკური კილოთია დაწერილი და ყოველი ხანა ამ სიტყვებით არის დამთავრებული:

ქალი ტიტველი დაგიხვდი,
შენ მათრახი მკარო!
კაცი მეგონე, მაგრამ... ფუჰ!
არ ვარგებულხარო!

მოლლა ნასრ ედდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილი ამბები

◆ **აბარელთა სასარგებლოდ** დღეს, 22 მაისს, ნაძალადევში გაიმართება საღამო.

◆ **შ. მდივანელის** დილა, ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის თაოსნობით, გაიმართება დღეს, სახალხო სახლში.

◆ **ბათუმში** მაისის მიწურულს მ. კავსაძის გუნდი კონცერტებს მართავს.

◆ **ამ ნომრისთვის აწყობილი** ივ. გომართელის „უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან", წერ. VII, ერმ. კახის „ქალთა შესახებ", კ. ჭიჭინაძის „ლექსთა წყობა" და იოსეს არიმათიელის „ტლუ მებრძოლი—ლადო დარჩიაშვილი", შემდეგი ნომრისათვის გადადიდო.

◆ **ილოს „პრანჭიები"-ს** გაგრძელება შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

◆ **წერა-კითხვის საზ-ის სასარგებლოდ** დღეს, 22 მაისს, „ახალი კლუბის" ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა.

◆ **ალ. ივ. სუმბათაშვილის** პატივსაცემლად 18 მაისს დრამ. საზ-ის გამგეობის თაოსნობით გაიმართა საზეიმო კრება და დიდი ნადიმი, რომელზედაც მრავალი საგული ხმა სიტყვა ითქვა, შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ. თვით ალ. ივ. სუმბათაშვილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დ. მსწრაგებზე. ნადიმი მეორე დღის დილის 5 ს. დაიშალა. ერთხმად გადასწყდა ვ. გუნიას იუბილეს გამართვა, რომელ ს კომიტეტის წევრად ყოფნა ისურვა ა. ი. სუმბათაშვილმა.

◆ **ვლ. ალ.-მელხიშვილის** მონაწილეობით ქართ. დრამ. დასმა სამშაბათს, 17/V, სახ. სახლში წარმოადგინა ურიელ აკოსტა. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დესწრო.

◆ **ალ. ხუმბათაშვილი-იუშვილის** მონაწილეობით გამართულ წარმოდგენებს დიდძალი საზოგადოება ესწრება სახაზინო თეატრში. გასულ კვირას ზედიზედ წარმოადგინეს „ღალატი". ღალატი მხატვრულად იყო დადგმული, მაგრამ ჭკნნდა ნაკლიც და ჩვენ უფრო მეტს მოველოდით.

◆ **ოსურმა** დრამატ. წრემ გასულ კვირას სახალხო სახლში წარმოადგინა ალ. ყაზბეგის „არსენა", ოსურად თარგმნილი. ამ წრეზე დაწვრილებით შემდეგ.

◆ **„უგვიარგვინო მეფეთნი" ალ. ფანფიაშვილისა**, ორჯელ ზედიზედ, 3—4 თიბათვეს სახალხო სახლში დაიდგმის შალვა დადიანის რეჟისორობით. როლები განაწილებულია საუკეთესო მსახიობთა შორის. დრამა ავტორის მიერ ახლად შესწორებულია, დადგმის ავტორის ხელმძღვანელობით. მუშავდება ახალი დეკორაციები, რისთვისაც მოწვეულნი არიან ჩვენი მხატვრები. მონაწილეობს მ. კავსაძის გუნდიც.

◆ **ქართველ მოღვაწეთა** ავადმყოფის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად ნოე ფოკაძისაგან (ცარიცინიდან)—3 მან., გ. ბელეკანასგან—5 მ., — თ. აფხაზიშვილისაგან—1 მ.

◆ **ირ. ევდოშვილის** წერილ შვილთა სასარგებლოდ – ბუღდან ეკანგულოვისაგან—10 მან.

ი. ევდოშვილის დაკარგვის გამო *)

I

მრავალ სიმწარე გამოვლილიდი გული გამიკერპდა და თვალებზე ცრემლი გამიშრა, მაგრამ.. კიდევ მომესმა საყვარელი სამშობლოს გოდება და ტირილი, რომლის მშრომელმა ხალხმა დაჭკარგა საუკეთესო სულის მგოსანი ი. ევდოშვილი. ევდოშვილის ჩანგის ყლეტა ხან იმედს გვაძლევდა, ხან ბრძოლისაკენ გვიწვევდა. სამწუხაროა და საუტირელი ქართველი ხალხისათვის ი. ევდოშვილის დაკარგვა. ჩემი გაკერპებული გულიც აქვითინდა, მეც ვსტირი საყვარელი მგოსნის დაკარგვას, ამასთანავე ჩემს მწუხარებას გამოვსთქვამ ზოგიერთ იმ პირთა შესახებ, რომელთაც ი ევდოშვილი შეუწყნარებელი კილოთი მოიხსენიეს. გაზ. „თ. ახ"-მა ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა თვის მტრებად მონათლა. არა, ეს ასე არ არის. მე ვსტირი ევდოშვილის დაკარგვას, მაგრამ ამავე დროს „თ. ახ."-ისა და მისი მიმართულების მტერი არა ვარ. ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველო დადუმა შინაურმა დაუნდობელმა ბრძოლამ. ეს იყო წარსულში, გაუნათლებელ დროს, და ახლა მეოცე საუკუნეში, აღარ უნდა მეორდებოდეს ისეთივე შურიანობა და მტრობა, რადგან ასეთი ბრძოლით დავდუმავთ ჩვენს სამოთხისებურ „ცა-ფიროუს ხმელეთ ზურმუტის" ქვეყანას.

გლეხი ვასილ კირვალიძე

II

ცრემლთა ფრქვევით ვეგებები ბრძოლის ქინით გატაცებულ ძვირფას ირადიონის უდროოდ სიცოცხლის განშორებას.

ვსტირი ჩემს სიყ მის მასწავლებლის სიცოცხლეესთან ბრძოლაში დამარცხებას, რომელმაც პირველად აღმინო ბრძოლის წყურვილი ცეცხლში გამოსაწრთობ თვის სტრიქონებით. და სასოწარკვეთილი ვეკითხები ამ საშინელ განაჩენს, რომელმაც სასიკვდილოთ გასწირა მშრომელი ხალხის ერთგული ძენი: „მითხარი კიდევ რამდენს ბულს მიეტანან საფლავს შუა გაპობილს ცხოვრების ველზე?" მიხ. ბოკორიშვილი

III

დიდად დაგვამწუხრა მგოსან ირიდიონ ევდოშვილის გარდაცვალებამ. ხარკოვში მყოფი ქართველი ახალგაზდობა მწარედ დასტირის მის ცხედარს სამშობლოსთან ერთად.

ი. ქელეტი

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა გასულ კვირის ნომერში ვერ მოხერხდა. ვბეჭდავთ უკვლელად რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა